

აპრი

26
1866

ГРУЗИНСКІЙ

ДУХОВНЫЙ ВѢСТНИКЪ.

1866.

ІЮЛЬ.

სამართებულს

სახსულოე რე მახარებელი.

იკლბი.

ბეგე წ.

ТИФЛИСЪ.

ВЪ ТИПОГРАФІИ МЕЛИКОВА и К^о.

ПОДПИСКА НА „ГРУЗИНСКІЙ
“ДУХОВНЫЙ ВѢСТНИКЪ“

на 1866-67 годъ.

Журналь „Грузинскій Дух. Вѣстникъ“, издаваемый съ 1-го іюля 1864 г., будетъ издаваться по той же, утвержденной Св. Синодомъ, программѣ и въ слѣдующемъ году. Мѣсячная книжка будетъ заключать въ себѣ отъ 4-хъ до 5-ти печатныхъ листовъ, вмѣстѣ съ „Русскими Прибавленіями“; а сіи послѣднія—не мене одного листа.

Цѣна остается прежняя: съ доставкою на домъ и пересылкою во всѣ города 5 р. за 12 книжекъ, вмѣстѣ съ „Прибавленіями“, на русск. яз.; безъ доставки же и пересылки 4 р.; „Прибавленія“ (для особо подписывающихся) въ Закавказскомъ краѣ 1 р., а внѣ его—1 р. 50 к. с. По сей же цѣнѣ можно получать остающіеся въ маломъ числѣ экземпляры журнала за прошедшіе годы.

Редакція приметъ всѣ мѣры, чтобы сдѣлать свое изданіе интереснымъ и полезно-занимательнымъ для своихъ читателей. Въ „Прибавленіяхъ“ къ журналу за означенный годъ предположено помѣщать, между прочимъ, слѣдующее сочиненіе редактора: „О судьбахъ наставниковъ и воспитанниковъ Тифлисской Дух. семинаріи, со времени основанія ея до 1868 года“. Кромѣ другихъ обстоятельствъ, здѣсь будутъ показаны кратко ученые труды и важнѣйшія заслуги сихъ лицъ для церкви и отечества. Это сочиненіе будетъ интересно особенно для тѣхъ, коихъ оно имѣетъ предметомъ своимъ.

Вмѣстѣ съ симъ редакція покорнѣйше проситъ почтеннѣйшихъ оо. и гг., желающихъ возобновить подписку на журналь, сдѣлать это заблаговременно, дабы дать возможность приблизительно опредѣлить, въ какомъ количествѣ печатать книжки.

Подписка принимается въ редакціи сего журнала, при Тифлисской Духовной семинаріи, на имя редактора-издателя: профессора

Свящ. Г. Хелидзе.

35304

ГРУЗИНСКІЙ
 ДУХОВНЫЙ ВѢСТНИКЪ,
 ЕЖЕМѢСЯЧНЫЙ ЖУРНАЛЪ,
 ИЗДАВАЕМЫЙ ПОДЪ РЕДАКЦІЕЮ
 СВЯЩЕННИКА, МАГИСТРА ГЕОРГІЯ ХЕЛИДЗЕ.
 ГОДЪ ТРЕТІЙ.

საქართველოს

სახელმწიფო მხარეზე,

თვედართუ გამომავალი ყურნალი.

მათისტრის, მღუდლის გიორგი ხელიძის რედაქციისაგან.

წელიწადი მეხამე.


1866.

ТИФЛИСЬ.

ВЪ ТИПОГРАФІИ МЕЛИКОВА и К-О.

სტეფანე მელიქიძის და კამპ. სტამბაში.

89



Печатать позволяется. Тифлисъ 20-го Августа 1866 года.
Цензоръ I. Сулхановъ.

მცირე შენიშვნა საუფლო ღოცვისათვის.

წარჩინებული ღოცუთა შორის ღოცუთა უფლისა ძველით დროთგანვე იყო საგნად ქადაგებათა და საეკლესიოთა სწავლათა ქრისტიანეთათვის. წმიდანი მამანი და მწუემსნი ეკლესიისანი მიაქცევდნენ მას ზედა განსაკუთრებითსა უურადლებასა და სწერდნენ ვრცელთა განმარტებათა და აღსხნათა, რათამცა ყოველთა ესმინათ იგი აღვილად და კანონიერად. ამასთანავე ითხოვდნენ, რათა ყოველთა სცოდნოდათ იგი მწიგნობართა და უწიგნოთა. შემდგომ ამისა, რადესაც გამოჩნდა საქრისტიანოში საკუთარი წიგნი, „კატეხიზმოდ“ წოდებული, შემტველი თვის შორის უსაჭიროების სწავლისა ყოველისა ქრისტიანისათვის, ღოცუთა ესე შეადგენს აუცილებელსა კუთვნილებასა მისსა, სადაცა განიხილუების და საკმაოდ განმარტების აზრი მისი. თვნიერ ამისა უაღრესობამან და სიუჭარულმან მისმან კუჭადად გამოაჩინა ყოველს განათლებულს ენაზედ სხუთა და სხუთა წიგნები კანონიერისა მისისა გულის-სმისა-ყოფისა და ხმალებისათვის, ვითარცა არის წინამდებარე ესე შრომა. ნამდვილი ამისა, შედგენილი რუსულს ენაზედ, დაიბეჭდა სანკტპეტერბურღს ოთხჯერ, — უკანასკნელი გამოცემა იყო 1859 წ. ეს საკმაოდ ამტკიცებს წიგნის ღირსებასა. უეჭველია, რომ არც საქართველს შვილთათვის იქმნება ეს უსარგებლო. ამასთანავე საჭიროდ ვრაცხთ ვაჩვენოთ ქართველთა შემდგომი განსხუთებითი კითხვა-ხმალება საუფლო ღოცვისა მხოლოდ ქართულს ენაზედ. ეს განსხუთება იხილუება ცხადად როგორც საღმრთო და საეკლესიო წიგნებში, ეგრეთცა ხმალებისაში და წარმოთქმისაში. მაგალითებრ: ერთი ამბობს და კითხუ-

ლობს ესრეთ: „პური ჩუქნი არსობისა მომეტე ჩუქნი დღეს... და
მომი ტეტე ჩუქნი თანანადებნი ჩუქნი... და ნუ შემიუჭანებ
ჩუქნი განსაცდელსა, არამედ მისხნენ ჩუქნი ბოროტისაგან.“ ხო-
ლო მეორე ესრეთ: „პური ჩუქნი არსობისა მოგეტე ჩუქნი დღეს...
და მოგო ტეტე ჩუქნი თანანადებნი ჩუქნი... და ნუ შეგო-
უჭანებ ჩუქნი განსაცდელსა, არამედ გვისხნენ ჩუქნი ბოროტი-
საგან.“ როგორცა ხჩანს აქედამ, ეს განსხუება არის წარმოდგა-
ნი ოთხი ზმნებისაგან: მომეტე, მომი ტეტე, შემიუჭანებ,
მისხნენ. — როგორა სჯობს, უ. ღრამდატიკონო ქართულენო?
მომეტე თუ მოგეტე, მომი ტეტე თუ მოგო ტეტე
და სხ...? თუძცა, მართალია, არა აუღდება რა ამით არცა სარწმუ-
ნობას და არცა საუფლო ღოცვის აზრს; მაგრამ, უეჭველია, სჯობს,
რომ წმიდა ესე ღოცუა და საფუძველი ღოცუათა ითქუას ყოველ-
თაგან და ყოველს შემთხვევაში — შინაურს და საეკლესიო ღოცუაში
ერთითა შინითა და ერთითა გულითა, — ერთითა ლექსითა და
ერთითა ზმნითა. სინორულში მოუჭანს ამისი არის ვალი ეკლეს-
იის მთავრებისა, რომელთაცა აქამოდეტ უნდა მიექციათ ამასკად
ყურადღება და მოესზოთ უკურო და უხიამოვნო განსხუება...

მღუდელი გიორგი სელიძე.

12-ს აგვისტოს 1866 წ.
ქ. ტფილისი.

საუფლო ღოცვისათჳს.

ჰანონიერისა მისისა გულის-ხმის-ყოფისა და ხმარებისა.

თავი პირველი.

საუფლო ღოცვისათჳს საზოგადოდ. წარმოება, ანუ დასაწყისი
საუფლოს ღოცვისა.

ზირველნი შედგომილნი იესო ქრისტესნი და
თვალით მხილველნი მისნი კორცესა შინა, წმიდანი
მოციქულნი, ხშირად ხედვიდენ მას მლოცველად,
და იწყეს რა თუთცა გრძნობად სამარადისოდსა
საჭიროებისა და მაცხოვარებითისა ძალისა ღოცვისა,
უტყოდნენ ზეცვიერისა მოძღუარისა: უფალო, გჴასწავე
ღოცჴა, ვითარცა იოანე ასწავა მოწაფეთა თჳსთა
(ლუკ, თ. 11 მუხ. 1). თხოვასა ზედა მოწაფეთასა
მაცხოვარმან მიუგო: თქუწნ ესრეთ იღოცვედით:
,,მამო ჩუწნო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იუავნ
სახელი შენი; მოვედინ სუფევა შენი; იუავნ ნება
შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუწყანასა ზედა;

ჰური ჩუწნი არსობისა მომეც ჩუწნი დღეს; და მომიტევენ ჩუწნი თანანადებნი ჩუწნი, ვითარცა ჩუწნი მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუწნთა; და ნუ შეგვიყვანებ ჩუწნი განსაცდელსა, არამედ გვიხსნენ ჩუწნი ბოროტისაგან. რამეთუ შენი არს სუფევა და ძალი და დიდება საუკუნეთა მიძარტ. ამინ“ (მატთ. თ. 6. მუხ. 10—11, 12, და 13). სახეთა შინა მოცემულთასა იესო ქრისტემან მოსცა ლოცუა ესე ყოველთა მართლმორწმუნეთა ქრისტიანეთა ყოველთა შინა დროთა და ყოველთა შინა საუკუნეთა.

განსაზღვრება ჭაზრისა მისისა.

საუფლო ლოცუა ჭაზრისა შინა თვისსა არს საზოგადო და სრული სწავლა, ანუ მოძღვრება ლოცუად, ზირჭელი და უმთავრესი სახე ყოველთა ლოცუათა (იხილ. ვრცელ. კატეხის. გამოც. უმაღლესისა ბრძანებისაძებრ), არა არს ლოცუისათვის უკეთეს მისა მოძღვრება, ანუ დარღება.

წოდება.

ესე ლოცუა იწოდების საუფლო ლოცუად მისთვს, რომელ იგი მოცემულარს თვთ უფლისა იე-

სო ქრისტესადმიერ; წოდება ესე განარჩევსცა მას ეოფ-
ლისა სხვსა ლოცვისაგან.

ჰანონისადებრ საუფლოს ლოცვისა ჯერ არს სწავლა ლოცუად.

ჯერაღს თვთოეულისა ქრისტიანისადმი, ჰან-
ონისადებრ საუფლოს ლოცვისა, სწავლა აღუღენად
ღუთისადმიმართ ეოფლისა ვედრებისა; ვინაჲდგან იგი
არს უუსრულისი სახე ქრისტიანობრივისა ვედრები-
სა. თვთ მოძღუარმან ჩუწნმან ქრისტემან (მატთ. თ.
23 მუხ. 8.) კეთილანება მოცემა ეოფლთა ქრის-
ტიანეთადმი სახელდობრ ამა სახისა, და არა
სხვსა. ლოცუა არა თანახმად ამა სახისა იქმნება,
ჰანონისადებრ წმიდისა კვიზრიანესა, არა ხოლო
უძეცრება, არამედ გარდახდომილებაცა, წარმოთქმისა-
მებრ თვთ იესო ქრისტესა: „დაგიტევებიეს მცნება
ღუთისა და გიზურიეს მოძღურება კაცთა“ (მარკ. თ.
7, მუხ. 8).

ვითარი ლოცუა იქმნების ჭემმარიტ ლოცუად?

მხოლოდ ის ლოცუა იქმნების ჭემმარიტ ლოცუად,
რომელიცა აღუღინების თანახმად სულისა, ჰანონ-

სა და შეცულობისა საუფლოსა ღოცვისა, ამა უსრულესისა სახისა. რაოდენ და რაბამაც უნდა იღოცოს ქრისტიანემ, გარნა ვიდრემდის არ იხწავებს ღოცუასა ჰასრისამებრ ამა ღოცვისა, იმა დროდმდე ვედრება მისი აღესრულება უფრო ჩუწულებისამებრ სოფლისა, ვიდრე განღვიძებისამებრ შვილებრივისა სოფლისა ღუთისა მიმართ; იმა დროდმდე ღოცუა მისი არ იქმნება სრულიად წმიდად, კეთილ-მისათვალიად და სათნოდ ღუთისა მსხუწრწლად; იმა დროდმდე კემოს ვერ იხილავს იგი სურვებადთაცა ნაყოფთა ჭემმარტისა ღოცვისათა. მაშა სადამე ღოცუა: „მაძაო ჩუწნო“ უნდა იყოს როგორც სული ყოფლის ქრისტიანობრივის ვედრებისათჳს.

ღოცუა მაძაო ჩუწნო, უნდა იყოს განსაკუთრებით ჰატივი-ცემული.

საუფლო ღოცუა უნდა იყოს განსაკუთრებითა ჰატივის-ცემასა შინა ყოფლისა ქრისტიანისასა უმეტეს ყოფელთა სხუათა ღოცუათა, ვითარცა მისთჳს, რომელ იგი მოგუცა თჳთ მაცხოვარმან, ეგრეთუწ ჩინებულისამებრცა საგანისა თჳსისა, ყოველმან ქრისტიანემ მიუცილებელად უნდა დაიხწავლოს იგი თჳთ

სიუზიდიდგან, ხოლო შემდგომ დასწავლისა, ყოველ
დღე, დილით და საღამოთ, და სხუა დროსა დღი-
სასა, ალაუღინოს იგი სრულიადითა უურბდლებითა
და კეთილმოწიწებითა. არცა შეიძლება ვიფიქროთ
ამ საგანზედ სხუა გუარად, ამისთვის რომელ თვთ
ღმერთკაცმან სახესა შინა მოცეიქულთასა, ჰრქუა
ყოველთა თვსთა შედგომილთა: „თქუწნ ესრეთ ილო-
ცევდით: „მამაო ჩუწნო, რომელი ხარ ცათა შინა“
დასხუანი. მაგალითი განსაკუთრებითისა ჰატვიის-ცე-
მისა ამა ლოცვისადმი გვიჩუწნეს ჩუწნ თვთ თავით
თვსით წმიდათა მამათა და მოძღუართა ეკკლესიისა-
თა, ოდესცა დააწესეს თქმა, ანუ გალობა მისი ჟამ-
სა ყოვლისა საზოგადოდასა ღუთისმსახურებისასა,
აღსრულების დროსა წმიდათა საიდუმლოთა და ქრის-
ტიანობრივთა წესთა.

სწავლა ჩინებულებისათვის საუფლო ლოცვისა წმიდისა კვიზრიანესი,
კარფაგენის ეპისკოპოსისა.

წმიდა კვიზრიანე შესახებელად საუფლოს ლოცვისა
გვაძლევს შემდგომსა სწავლასა: მან, ვინც მოგვანი-
ჭა ჩუწნ ცხოვრება, გვასწავა ჩუწნ ლოცუა... და

რათა მსწრაფად და უმარჯვესად შეისმინოს ჩუქნი
მამამან ზეცათამან, უნდა აღვაუღინოთ მისდა ის
ლოცუა, რომელიცა გვასწავა ჩუქნი მხოლოდობი-
ლმან ძემან მისმან. მასთანავე, ღუთაებრივისა დარ-
გებისა-ძებრვე მისა ღუთისა, ჩუქნი მოვალენი ვა-
რთ „თაუვანის-ვსცეთ მამასა სულითა და ჭკუძმარ-
ტებითა“ (იოან. თ. 4. მუხ. 23); ხოლო რომელი
სხუა ლოცუა იქმნება უსულიერეს მოცემულისა ჩუ-
ქნიდა იესო ქრისტეს-ძიურ, რომელმან მოკვილი-
ნა ჩუქნი სულიცა წმიდა? ვითარღი ლოცუა მამისადმი
იქმნება უჭკუძმარტეს წარმოთქმულისა ჰირითა მი-
სათა, რომელი არს „ჭკუძმარტება“ (იოან. თ. 14.
მუხ. 6)? ვითარღი ლოცუა ცოდუთათ-თუს ჩუქნითა
არს უკეთილწარმატებულეს წინაშე ღუთისა იმა
ლოცვისა, რომელსა შინა ვევედრებით მათთუს სიტუ-
ვებითა თუთ შუამდგომელისა ჩუქნისათა, რომელმან
გვრქუა ჩუქნი: „რაოდენიცა რა სთხოვოთ მამასა სახე-
ლითა ჩემითა მოგცეს თქუქნი“ (იოან. თ. 16. მუხ.
23.)

რასა შეიცავს თუხ შორის საუფლო ლოცუა?
თუძცა მოკლე არს საუფლო ლოცუა, ვარნა

იგი შეიცავს თვს შორის უოველთა აწსებითთა კანონთა ქრისტიანობრივის ვედრებისათა. მას შინა გვეძლევა ჩუქნი დარვიება მისთვსაცა, თუ ვითარისა თვსებისა უნდა იყოს თვთ მლოცველი; მისთვსაცა, თუ ვითარ უნდა ადავლინოს უფლისადმი თხოვანი თვსნი; მისთვსაცა, თუ ვითარნი უნდა სთხოვოს ღმერთსა ნიჭნი, სულიერნი და სორციელნი, აწსებით საჭირონი კეთილდღეობისათვსცა აწ მდგომისა ცხოვრებისა, და მოწოდებისათვსცა საუკუნოდსა ნეტარებისა.

განყოფა მისი.

უცხადესისა და უადვილესისა განხილვისა თვს საუფლოს ლოცვისა, მას ჰყოფენ: მოწოდებად, შვიდ თხოვად და დიდებისმეტყველებად.

თავი მორა.

მოწოდებისათვის.

„ მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა.“

საჭირო არს წინათ განმზადება ლოცვისადმი.

უწინარეს ვიდრე ქრისტეანე მუდგებოდეს მხოლოდ დაწეებასა ლოცვისასა; უწინარეს, ვიდრემდე წარმოსთქვამდეს იგი მხოლოდ მოწოდებასა, ანუ ღაღადებასა უფლისა მიმართ შესმენისათვის ლოცვისა მისისა—უნდა იფიქროს ესრეთ: უკეთუ ქვეშევრდომი, რომელსაცა აქუს საჭიროება და შემთხვევა ჰირდაჰირ წარსდგეს წინაშე ხელმწიფისა თვისისა რაჟსამე სათხოვნელად, მოფიქრებით და განმზადებით მოელის იგი დროსა ესრეთისა წარდგომისასა, და შიშითა ხვდება დადგომასა ამა წარჩინებულისა წამისასა: მაშა რაოდენ უმეტეს ქრისტეანემ, რომელსაცა ეგულუების წარდგომა წინაშე მეუფისა მეფეთასა და კულთა მხილველისა ღმრთისა, წინათ თანამდებარს ეოვლითა სიფრთხილითა და ეურადღებითა განამზადოს თავითვისი, შინაგან და გარეგან, სულიერად და ხორციერად

ლად, ამა წმიდისა წამისათჳს; და შემდეგ ცხოველი-
სა წარმოდგენითა უოველგან მყოფობისა და უოველი-
სა მეცნიერებისა უფლისა უოვლად-შესამლოდითა ში-
შითა ღუთისათა და სრულიადითა კეთილ-მოწიწე-
ბითა შეუდგეს ლოცვითსა საუბარისა მისთანა. წინას-
წარმეტყუელნი მოსე, სინასს ზედა, ოდესცა ეკუთვე-
ბოდან წარდგინებან ერისა ისრაილისა წინაჲ ღუთი-
სა, მოსაღებელად მისგან სჯულისა, ამხადებდა მი-
სთჳს ებრაელთა სამის დღის განწმედითა. გარნა შე-
მდგომცა ამა განმხადებისა ისრაიტელნი, რომელთა
შეეძინათ გამოცხადებისაგან ღუთისა მთასა ზედა სი-
ნასს, და თჳთ არ ეძლოთ მიახლება მისდა, უკუ-
სდგეს მთისაგან და სთხოვეს მოსეს უოუნა შუამავა-
ლად შორის მათსა და ღუთისა. ხოლო ჩუენ, მხედ-
ველნი ესრეთისა ძაგალითისანი და განათლებულნი
სახარების სწავლითა ვიკადრებთა შეუვრდეთ ღმერთ-
სა ლოცვითა თჳნიერ ჯეროჳანისა მისდამი განმხა-
დებისა და ძრწოლისა? თუძცა ვსცხოვრებთ მადლი-
ანს დროსა (იოან. თ. 1. მუხ. 17), თუძცა თჳთ
უფადი მიუწითომელად მოკვეახლა ჩუენ, მიიღო რა

თუთ კორცი ჩუწნი (ებრ. თ. 2. მუხ. 14. და სი-
დუმლოდ მოკვცემსრა ჩუწნ უოვლად წმიდასა კორც-
სა თუსსა და სისხლსა საჭმელად და სასუმელად; გარ-
ნა ესრეთმან სიმდიდრემან მადლისა და კაცთ-მოუჭარე-
ბისა ღუთისამან სრულებით არ უნდა მიიუვანოს ქრის-
ტეანე იქამდინ, რომ მან იკადროს ოღესმე წარდ-
გომა წინაშე უსენახისა დაუდევნელად, თუნიერ
სათანადოდსა უურადლებისა და ჯეროვანისა განწყო-
ბილებისა სულისა თუსისა, შესაბამ დიდებულებისა
ღუთისა.

განსაკუთრებით აღმატება ლოცვისა, რომელიცა მოცემულ-არს
იესო ქრისტეს-მიერ.

წინასწარმეტყუწლმან მოსე მიიუჭანა ისრაი-
ტელნი მხოლოდ მთასთან, რომელიცა განსხვავებულ-
იყო ღუთის გამოცხადებითა. ხოლო ახლისა აღთ-
ქმისა სჯულის მომცემელი, უფალი იესო ქრისტე,
მომნიჭებელი შედგომილთადმი თუსთა შვილებრივისა
უფლებისა და მადლისა კადნიერებით დაუსჯელად
ჭხდად მამისა თუსისა ზეცათასა, და თქმად: „მამაო
ჩუწნო, რომელი ხარ ცათა შინა და სხუანი“, — ზირვე-

ლად, ნაცუღად მთისა, სულერად აღიუქანს — მათ,
ვითარცა იტუვის წმიდა გრიგორი ნოსელი ლოცვი-
თისა საუბრისათჳს, თჳთ ცაშია, ანუ მისდა, „რო-
მელი არს ცათა შინა“ მხვენებელი მათდა გზასა
მისდამი სათნოებასა შინა; ხოლო მეორედ იქმს მათ
არა მჭვრეტელად ხოლო, არამედ ზიარადცა საღმრ-
თოღსა ძალისა; ესრეთ რომელ მიახლოებულნი
ღუთისადმი, რომელთა აძლევს უფლებასა შვილთასა,
შეჰყავს რეცა ნათესაობასა შინა უხენავისა არსები-
სა თანა. იგი არა ჰყარავს წუუდიადსა შინა, ვითარ-
ცა სინასა ზედა, საღმრთოსა დიდებასა, რათა იგი
არა სახილველ იუოს მსურველთათჳს ხილვად მისა;
გარნა განსდევნის რა სიბნელესა უოულად-განძაბრ-
წუნვებელითა ნათლითა თჳსის სახარების სწავლი-
სათა, იქმს მას, რომელ წმიდანი გულისთა ცხა-
დად იხილვენ გამოუთქმელსა დიდებასა ღუთისასა,
(იხილ. სიტუჳა წმიდის გრიგორი ნოსელის საუფ-
ლოს ლოცვისათჳს). ჰსწავლისა-მებრ წმიდისა გრი-
გორი ნოსელისა, ესრეთი არს ძალი სიტუჳათა
უფლის ლოცვისათა, რომელ ჩუწნ წარმოვსთქუამთ

რა მათ, არა მარტოვსა ვსცემთ ხმასა, რომელიცა
შესდგება შეერთებისაგან მარცხელთა; არამედ მივი-
ღებთ მეცნიერებასა აღსვლისათჳს ღმრთისადმი, რომ-
ელიცა აღესრულება საშუალობითა აღმატებულისა
მოსწრაფებისათა. თუთ სიტყუანი ამა ლოცვისანი
გაკვიხსნიან ჩუწნ საკუთარსა გზასა, აღმევანებელსა
ღმრთისადმი,, (მასვე სიტყუასა შინა თქმულარს
ქვემოთ); და ესრეთ მივაქციოთ სრული ყურადღება
თუთოეულსა ზედა სიტყუასა, წარმოთქმულსა მას შინა
უფლისა მიერ.

სიტყუისათჳს საუფლოს ლოცვისა: მამო.

ზირველი სიტყუა საუფლოს ლოცვისა: „მამო“
ფრიად ძრავალ მნიშვნელოვან არს. ამა სიტყუათა იესო
ქრისტე აწაჳებს ქრისტიანებსა, ვითარცა განმარტებს
წმიდა კასსიანე რომაელი, „მიწოდებსა ლოცუასა ში-
ნა მდგომარეობისა უამაღლებულესისა და უუსრულე-
სისასა, რომელიცა შესცვლის ხედვასა ჭვრეტასა ში-
ნა მხოლოდსა ღმრთისა. და აღებრივისა მისდამი სი-
ყუარულსა შინა, სადა გონება ჩუწნი, გარემოცული
და განმსჭვალული ამა სიტყუარულითა, ესაუბრება

ღმერთსა; უმანლობელესის სახითა და განსაკუთრებო-
თის გულწრფელობით, ვითარცა მამასა თვისსა. ჩუწნ
ვამბობთ: „მამო ჩუწნო“! უკეთუ ესრეთითა სახითა
ღმერთსა და უფალსა ეოვლისა სოფლისასა საკუთა-
რითა ბავითა აღვიარებთ მამად თვისად, მამა მასთა-
ნაჲე ერთად ვაღვიარებთ მასცა, რომელ მდგომარე-
ბისაგან ცოდვითის მონებისა მოყვანებულ ვართ
მდგომარეობასა შინა ღმერთის შვილებისასა,, (ინი-
ლე. საუბარი ლოცვისათვის წმიდის კასსიანე რომ-
მაელისა თავი 18).

მამად წოდება ღმერთისა ძალუმს მხოლოდ მართლ-მორწმუნესა.

სიტყვითა: „მამო“—უკეთუ კერძოდ განვარჩევთ
მნიშვნელობასა მისსა, იესო ქრისტე ასწავებს ძლო-
ცველსა ქრისტიანესა—

1) რათა იეოს იგი ჭეშმარიტ ძედ ღმერთისა სარ-
წმუნოებითა თვისითა მისსა მიმართ ანუ ჭეშმარიტ
ძედ მართლ-მადიდებელისა ქრისტეს ეკკლესიისა. ვი-
ნაიდგან უფლება წოდებად ღმერთისა მამად მოეცემის
მხოლოდ ჰირობათა სარწმუნოებისათა იესო ქრის-
ტეს მიმართ და მადლითა კუთლადობისათა; რად-

ცა ჰსჩანს სახარების სიტყუათაგან: „როდენთა
იგი შეიწუნარეს მოსცა მათ ხელმწიფება, შეილ-
ღუთისაყოფად, რომელთა ჰრწამს სახელი მისი,
რომელნი არა სისხლთაგან, არცა ნებითა ხორცთა-
თა, არცა ნებითა მამაკაცისათა, არამედ ღუთისაგან
იშუნეს“ (იოან. თ. 1. მუხ. 12 და 13). მასთანავე
ჰემმარტი შვილი სრულებით მოჩილია დედისა
თვისისა; მაშა სადამე ქრისტიანესა ზედცა, ვითარ-
ცა შვილსა ზედა ქრისტეს ეკლესიისასა, დაედების
მოუალოება სრულიად მოჩილყოფად სწავლასა და
კანონთა დედისა მისისათა, წმიდისა ეკლესიისა,
წინააღმდეგ, ვინცა არა სცნობს მართლმადიდებელსა
ეკლესიასა დედად თვისად; მას არა ძალუძს ცნობად
ღუთისაცა მამად თვისად (ინილ. წიგ. მართლმად.
აღსარება ნაწ. მეორე, კითხუა 10). და იგი უნდა
შერაცხილ იქმნას წარმართად და მესვერედ, მეტევე-
ლებისაძებრ: „უკეთუ კრებულისაცა არა ისმინოს,
იყავნ იგი შენდა ვითარცა მესვერე და წარმართი“
(მატთ. თ. 18. მუხ. 17).

2.) რომელიცა ღმერთსა უწოდებს მამად, მას უნდა აქუნდეს
შვილებრივი მას ზედა სასოება.

საჭიროა, რათა ძლოცველი ქრისტიანე იყოს
ჭეშმარიტ მედ ღუთისად შესახებად სასოებისა თჳსი-
სა მას ზედა, ესე იგი, რათა აღამაღლებდეს ზეცა-
თა მამისადმი კეთილთა თჳსთა თხოვანთა არა სხუა-
ფრივ, თუ არა შვილებრივითა სასოებითა მიღებად მათ-
თა; ვინაჲდგან სთხოვს მამასა შვილთმოყუარესა და
მრავალმოწყალესა (ლუკ. თ. 6. მუხ. 35.), მამასა
ყოვლადბრძენსა, ყოვლისა-მეცნიერსა და ყოვლად-
შემძლებელსა. ხოლო ვის ძალუძს ესრეთისა მამისა-
გან ელოდებოდეს არა მამობრივისა. „უკეთუ თქუ-
ნს უკეთურთა, იტევოს თჳთ იესო ქრისტე, იცით
მისაცემელი კეთილი მიცემად შვილთა თქუწნთა;
რადგან უფროსლა მამამან თქუწნმან ზეცათამან
მოსცეს კეთილი რომელნი სთხოვდენ მას“ (მატთ.
თ. 7 მუხ. 11). ეგრეთვე იტევოს ღმერთი ზირი-
თა წინასწარმეტყუწლისა ისაიასითა: „ნუ დაივიწყოსა
დედაკაცმან ერძისა თჳსისა, ანუ არა შეიწყალნეს ნა-
მოხნი მუცლისა მისისანი, დაღათუ ესენიცა დაივიწყ-

უნეს დედაკაცმან, გარნა მე არ დავივიწყო შენ“
(ისაი თ. 49. მუხ. 15). ზეცური მამა უარს არ
კვიროფს მას შინა, რასაცა ვითხოვთ ჩუწნ; არა-
მედ თვთ კვამლევს ჩუწნ ღონისძიებათაცა, ვი-
თარ ვითხოვოთ მისგან, და კეთილ-ნაწილეო-
ბით მიიღებს ლოცუათა ჩუწნთა, მხოლოდ კი
ისინი იუწუწნენ წმიდანი და გამომდინარეობდნენ სი-
ღრმისაგან შემუსვრილისა და დამდაბლებულისა გუ-
ლისა (იხილ. წიგ. მართლ-მად. აღსარება, ნაწილი
მეორე კითხუა 10). და ესრეთ უკეთუ ვინმე ლოცუ-
ლობს და ღმერთსედ კი მტკიცე სასოება არა აქუს
მან ჯერეთ არ იცის ლოცუა შვილებრივი ქრისტიან-
ობრივითა სუღითა.

3.) რათა ვხადოდეთ ღმერთსა მამად, უნდა გუაქუნდეს შვი-
ლებრივი მისდაძი სიუჭარულთი.

საჭიროა, რათა ძლოცველი ქრისტიანე იყოს
აღვსილი შვილებრივითა სიუჭარულითა ღუთისა მი-
მართ და წარსდგებოდეს სალოცავად არა მონებრი-
ვითა შიშითა და რიდობითა, არამედ ურმებრივითა
სიუჭარულითა და კეთილ-მოწიწებითა. სუღი მისი
უნდა იყოს ამ დროს აღსავსე მხურვალეთა გრძნო-

ბათა კეთილისა მკლისათა, რომელი ჰყოფს სიტ-
კობასა საუბრობასა შინა საეჭარელისა მამისათანა
თვისსა. აღსებული ღმრთის სიეჭარულითა სული
ისწრაფის, რათა წარმოაცალიეროს თავი თუნი წი-
ნაშე მისსა, ესაუბროს მას, ისმინოს მისი და სსუა-
ნი. წინააღმდეგ, ვინც ესრეთ არ შეუვრდება ღმერ-
თსა, მან ჯერ არ იცის ლოცუა შვილებრივი. ამის-
თვის მლოცველსა ქრისტიანესა უნდა აქუნდეს გული
უფროს მამისა მიმართ ზეცურისა და სიღრმესა
შინა სულისასა შეკონებისაჲმებრ სიეჭარულისა, იგრ-
ძნოს თავი თუნი მედ მისსა, ესე არს ერთი ზირო-
ბათაგანი შვილებრივისა ლოცვისა.

4.) ვინც ღმერთისა უწოდებს მამად, მას უნდა აქუნდეს თუნი-
ბანი და ცხოვრება, რომელნიცა ეფერებიან მედ ღმრთისად ყოფილ-
სა შვილსა.

სასოკადოდ სიტყვითა: მამაო, იესო ქრის-
ტე ასწავებს ყოველსა შედგომილსა თვისსა, რათა
აქუნდეს მას ქრისტიანობრივისა ლოცუისათვის ყოვე-
ლნი საჭირონი სულის თვისებანი და ყოველი სა-
ხე ცხოვრებისა მედ ღმრთისად ქმნილისა მკლისანი.

მართლიად მოწოდებულსა ღმერთისასა მამად, სიტყუა-
თაჲმებრ გრიგორი ნოსელიისა, ვითარცა უნდა აქუნდეს
სული, ვითარცა შვილებრივი კადნიერება, ვითარცა
სინიდისი; რათა მიჰხვდეს რა შეძლებისაჲმებრ ღმერ-
თსა და გამოუთქმელსა დიდებასა მისსა სახელწოდე-
ბათაგან, რომელნიცა მითვსებულარინ ღმერთისადმი,
და ჰსცნობს რა, რომელ ღმერთებრივი ბუნება არს
არსებითი სახიერება, სიწმიდე, მხიარულება, ძალი,
დიდება, სიწრფე და შემდგომი; კადნიერ იქმნას
წარმოთქმად ესრეთი დიდი სახელი; და ესრეთი დიდი
არსება ჰხადოს მამად თვსად? ესრეთ, უკეთუ ამ კაცს
აქუს რაოდენიმე განსჯა; მაშინ, არა მხოვებელი
თვს შორის მსგავსთა სრულებათა, ვითარცა იკად-
რებს აღამაღლოს ღმერთისადმი ესე ხმა, და ჰსთქუას:
მამაო! კეთილ-სახიერი ბუნებითა, რა საკურველია
არ შეიძლება იქმნას მამად ბოროტისა არსებისა; წმი-
და მამად უწმიდურისა ცხოვრებითა, შეუცვა ლებელი
დაუდგრომელისა, მამა ცხოვრებისა მოძკუდარისა ცო-
დვითა. მწიკვლ-მეუხებელსა არა ძალუძს ეოფნა მამად
შემწიკვლებულისა უწმიდურებითა ვნებათათა, კეთი-

ღის-მოყოფელსა ანგაარისა; სიტყვით: მას, რომელსა
ჰქონან ეოველნი სისრულენი არ მალ-უმს ეოფ-
ნა მამად მონა ქმნილთა ბოროტისადმი. ამისთვის
უკეთუ კაცი, რომელსა აქუს საჭიროება განწმედასა
შინა, განიხილავს რა თვთ თავსა თვისსა, და ჰპო-
ებს რა სინიდისსა თვისსა ბიწიერად, სავსედ მწიკვ-
ლისა და უსახერ-ქმნილად ცოდვითა, უწინარეს გან-
წმედისა თავისა თვისისა, გაჰბედავს შერაცხვასა თა-
ვისა თვისისასა მოუჭასად ღუთისა, და არა-მართა-
ლი მართალსა, არა-წმიდა უწმიდესსა, უწოდებს:
მამათ! მაშინ, რასაკურველია, რომ სიტყუანი
მისნი არიან განლაღებითი გმობა ღუთისა. იგი
უწოდებს ღმერთსა მამად თვისსა ბიწისა, ჰრაცხს მას
დასაბამად და მიხესად ბოროტთა საქმეთა თვისთა;
ვინადგან სახელწოდება: მამათ, აღნიშნავს მიხესსა
მისისასა, რადცა წარმოსდგა მისგან. გარნა „რა მო-
უჭსობა არს სიმართლისა და უსჯულოებისა, ანუ
რა ზიარება არს ნათლისა და ბნელისა“ (ბ. კორ.
თ. 6. მუხ. 14), სიტყვისა-მებრ მოცოქულისა? ნათე-
ლი ეზიარება მხოლოდ ნათელსა, მართალი მართალ-

სა, სახიერი სახიერსა, უხრწნელი უხრწნელსა.
ხოლო წინააღმდეგნი ამათდა თვსებანი-მეუძლებანი
შეერთდნენ ეგრეთვე ერთ გუართათანა თვსთა;
ვინააღგან „ვერ ხელეწიფების, ხესა კეთილსა ნაყო-
ფისა ხენეშისა გამოლება“ (მატთ. თ. 7. მუხ. 18).
და ესრეთ, ოდესცა იესო ქრისტე გუასწავებს ჩუწნ
ლოცუასა შინა წოდებასა ღმთისასა მამად თვსად;
მაშინ თვთ ამით წინადაგვიდებს ჩუწნ დიდსა კანონ-
სა ცხოვრებისასა (იხილ. სიტყუა წმიდისა გრიგო-
რი ნოსელისა საუფლოსა ლოცუისათვს). მაშა სადა-
მე, ოდესცა შეუვრდებით ჩუწნ ღმერთსა ლოცუითა,
მაშინ ზირველ ეოვლისა უნდა მივაქციოთ უურად-ლე-
ბა ცხოვრებასა ზედა ჩუწნსა და განვიხილოთ, გუა-
ქუსა რაამე ღირსი ზიარებისა ღმთისათანა? ხო-
ლო შემდგომ უკეთუ კადნიერებით აღვამაღლოთ მის-
და ესე მადლითი ლოცუა (იხილ. ქვემოთ მასვე
სიტყუასა შინა).

5.) მკლებრივისა ლოცუისათვს არა საჭირო არიან მშუწნიერ-
სიტყუაობა და 'მრავალ-მეტყუწლესა.

მნიშვნელობა სიტყუისა: მამათ, განვრცულ-

დება თვთ ლოცვს წარმოთქმაზედაცა და სახელ-
დობრ: ა) ქრისტიანობრივისა ლოცვსათვს, ამაღლე-
ბულისა ღუთისადმი ძეებრივითა სუღითა, არა საჭი-
როარიან მშუწნიერსიტუეუაობა და მრავალ-მეტეუწ-
ლება; ვინაჲდგან ოდეს შვილი სთხოვს რასამე კე-
თილსა და ბრძენსა მამასა, მაშინ მამა არ ითხოვს
მისგან ენა-მჭევრობითსა და მრავალსიტუეერსა
გამოთქმასა თხოვისასა, არამედ მხოლოდ სიწრფო-
ებასა და გულ-კეთილობასა. მაცხოვარიცა ჩუწნი
ასწავებს რა მოწათუეთა თვსთა ჭეშმარიტსა ლოცუა-
სა, ეტევის: „რავამს ილოცვდეთ, ნუ მრავალსა იტ-
ვით, ვითარცა იგი წარმართთაგანნი, რამეთუ ჭკო-
ნებედ ვითარმედ მრავლის-მეტეუწლებითა მათითა
ისძინოს მათი: ხოლო თქუწნი ნუ ემსგავსებით მათ,
რამეთუ იცის მამამან თქუწნიმან რა იგი გიბმს
თქუწნი ვიდრე თხოვადმდე თქუწნიდა მისგან (მათ. თ.
6. მუხ. 7 და 8). და ესრეთ ჭმვენის ქრისტიანესა
აღამაღლოს ძეებრი ლოცუა ზეცეერისა მაძისადმი,
რომელი განიხილავს დაჟარულითა სიწრფოებითა
და კეთილითა სუღითა და სიკუწარულის გუღითა,

რომლისა სავსებისაგან ზირი მისი თვით იმეტუქს-
ლებს.

მე მადლისა უნდა ლოცულობდეს მოთმინებითა და მოუღა-
ლაკად.

ბ) ქრისტიანისადმი, ვითარცა შუალად ღუთი-
სა ქმნულისადმი, შემთხვევათა შინა ხაჭიროებისასა,
ჯერაჲს მოუცილებელად ლოცუად ღუთისადმი და
არა მოწყინებად (ლუკ. თ. 18 მუხ. 1); ამისთვის რომ-
მელ თხოვათა თვითა აღამაღლებს იგი ყოვლად-
სახიერისა მამისადმი. — უკეთუ ბრძენნი ქუჭყანისანი
მამანი კეთილის-განსრახვითა ზოგჯერ არა მსწრაფლ
აღასრულებენ სასარგებლოთაცა თხოვათა კეთილთა
შუალთა თვითათა; ხოლო გონიერნი შუალნი, ესრე-
თს შემთხუჭვაში, მტკიცედ დარწმუნებულნი სიუჭარუ-
ლსა ზედა მშობელთასა მათდამი, არა დასცხრებიან
რამდენ-ჯერმე და დიდის გულს-მოდგინებით თხო-
ვად მათდა, ვიდრემდის დასასრულ არ მიიღებენ
თხოვილსა: მაშა მსგავსითავე სახითა ქრისტიანენიცა,
მენი ღუთისანი მადლითა, არ უნდა მომედგოდნენ
ლოცუათა შინა, შესახებ კეთილთა საჭიროებათა თვს-

თა, უკეთუ არ მიიღებენ საჩქაროთ თხოვილსა; არამედ თანამდებარისან განგრობობად ლოცუათა მათ დიდითა გულსმოდგინებითა სულისათა, განმხნევებულთა იმა ჭაზრითა, რომელ ივინი სთხოვენ ისრეთსა მამასა, რომლისა მოწუალება და კაცთმოუჭარება უსომო არიან. ამასთან არ შეიძლება რომ არ განვიმეოროთ კუალად ესე ნუგეშინისცემითნი სიტყუანი იესო ქრისტესნი: “უკეთუ თქუწნ უკეთურთა იცით მისაცემელი კეთილი მიცემად შულთა თქუწნთა, რაოდენ უფროსლა მამამან თქუწნმან ზეცათამან მოჰსცეს კეთილი რომელნი ჰსთხოვდენ მას (მათ. თ. 7. მუხ. 11).

6) ძეგბ მლოცუწლი უნდა სრულიად მინდობილი იყოს წმინდისა ნებისადმი ღუთასა.

შესახებელად ძეგბრისა ვედრებისა კუალად საჭირო არს შენიშუნა შემდგომისა: — ვინცა სთხოვს ღმერთსა სულიერთა კეთილთა და არა მიიღებს კი მათ, იგი მოუალე არს მოუცილებელად ითხოვდეს სარწმუნოებითა და მოთმინებითა, და მიიღებს მათ. ხოლო ვინცა წინააღმდეგ ითხოვს რასამე ქუწუნერთა კეთილ-

თავანსა; მაშინ უნდა ძეებრ მიანდოს თავი თვისი
ნებასა ღმერთისასა: ამაღ რომელ თვით მას არა ძალ-
უმს ცნობად, სასარგებლო იქმნება, თუ სავნებელი
მისთვის ნათხოვნი, მასთანავე კუხლად მლოცველი
უნდა დაწმუნებული იყოს, რომელ ღმერთი, მულო-
მოუჭარე მამა ჩუწნი, რომელი მარადის ზრუნავს
ჩუწნისა სიკეთისათვის, მოგუცემს, თუ არა გვაძლევს
მას რასაცა ვითხოვთ, ყოველსავე ჰმართავს უძჯო-
ბესინადმი, ყოველსავე განაგებს სასარგებლოდ ჩუწ-
ნდა, და მისთვის ორივე შემთხვევაში უნდა ვმადლო-
ბდეთ მას. ოდეს უფალი არ აღასრულებს თხოვანთა
ჩუწნთა; მას ჟამსაცა შინა, არ უნდა ვიფიქროთ, რომ
ლოცუანი ჩუწნნი დაძინენ სრულებით ამაოდ,
უკეთუ ისინი ამაღლდებიან სულითა და ჭეშმარიტე-
ბითა (იოან. თ. 4. მუხ. 27). ვინაჲდგან მამა ზე-
ცათა უეჭველად მოწყალებით ისმენს და მიიღებს ეს-
რეთთაცა ლოცუათა ჩუწნთა; გარნა ნაცუელად სორ-
ციელთა კეთილთა უხილავად მოგვივლენს, იგი
სულიერთა კეთილთა, უკეთუ არა აწ მდგომსა შინა
ცხოვრებასა, მამა მეოფადსა მაინცა, ამა ჭეშმარი-

მოდურება

მრევლთადმი კვირა დღით ეკლესიაში სიარულ-
ზედ (*).



„ვიხარე რომელთა მრჩეულს
მე: სახლსა უფლისასა შევი-
დეთ.“ (ფს. 121, 1.)

წმიდასა წინასწარმეტყუელსა დავითს, დაწმუნებულსა სარგე-
ბლობსა და საჭიროებასა ზედა ტაძრად ანუ სახლსა ღვთისა სიარ-
ულისასა, სადაც ღმერთი განსაკუთრებით იმყოფება მადლითა თვ-
სითა, ესმა რა სმა მოწოდებისა ეკლესიასა შინა, მსიარულებით
ადმოსთქუა: „ვიხარე რომელთა მრჩეულს მე სახლსა უფლისასა შევი-
დეთ“.

ვითარია, ქრისტიანენო, საჭიროება ტაძრად სიარულისა და
ვითარია ამისგან სარგებლობა?

საჭიროება და სარგებლობა ტაძრად სიარულისა ცხადნი არი-
ან: რომელს ქრისტიანესაც ჰკითხავ, ყოველი გეტყვის, რომელ მას
საშინელი სურვილი აქვს შესულად საუკუნოსა ნეტარებასა შინა. ხო-
ლო მიღებისათვის ამისა შირველი საქმე არს სიარული ეკლესიასა
შინა.

ეკლესია არს სასულიერო სასწავლებელი, რომელსაცა შინა

(*) თქმული ერტისის ეკლესიაში 1865 წ.

განიმარტების მცნებანი ქრისტესნი, ესე იგი — მოვალეობა ქრისტეანისა და ყოველივე საზოგადოდ ქრისტიანობრივი სწავლა: „თუნიერ სარწმუნოებისა ვერ შემძლებელას სათნოყოფა ღმრთისა (ებრ. 11, 6). ეკლესიას ცხოველითა სიტყვითა აღსწერს და წარმოუდგენს მსედველობაში მიძვლელთასა მამასა ღმერთსა. ძესა და სულსა წმიდასა შემოქმედად, გამოძხვნილად და განმანათლებელად კაცთა ნათესავისა. ყოველი ქრისტიანე, მყოფი ნივთიერსა ამა სოფელსა, უძობესად განემტკიცების სარწმუნოებასა შინა ესრეთითა სასითა, ვიდრე სხუა რიგის სწავლითა; მამა სადამე სძირად უნდა ვიხილოთ სასლი ღმრთისა, რათა ვისწავოთ ესე.

ვინააღგან უკუწ სიტყვისაებრ მოციქულისა: უკეთუ არა აქუნდეს საქმენი, სარწმუნოება მკუდარას (იაკ. 2, 17); ამისთვის წმიდა ეკლესიას სატთა მიერ მაცხოვრისა, ანგელოზთა და წმიდათა, წარმოადგენს მაგალითთა მიზამვისათვის მათდა კეთილთა საქმეთა შინა. განსაკუთრებით სასარგებლო არს, რომ ეკლესიასა შინა სამღუდელთა მსახურთა მიერ შეიწირვის ღმრთისადმი ღოცუა სხუა და სხუა საგანზედ, რომელნიც საჭირონი არიან დაცვისათვის აწ მყოფისა დროებითის ცხოვრებისა და მიღებისათვის მომავლის საუკუნოებასა ნეტარებისა.

ყოველს ქრისტიანეს შეუძლიან ილოცოს სასლში; მაგრამ ღოცუასა საზოგადოსა ანუ ეკლესიურსა აქუნს უმეტესი ძალი და მნიშვნელობა. მაცხოვარი ძე ღმრთისა იტყვის: „რამეთუ სადაცა იუჟნენ ორნი, გინა სამნი შეკრებულ სასკლისა ჩემისათვის, მუნ ვარ მე შორის მათსა“ (მათ. 18, 20). გარდა ამისა ეკლესიასა შინა მღუდელთა აქუნთ უფლება ღმრთისგან მიცემული, რათა იშუამდგომელთა მოწმუნეთათვის წინაშე ღმრთისა და მისთა წმიდათა. წმიდა იოანე ბაქრაძე, ახსენებდა რა ამასზედ, ჭსთქუა: „ამბობენ, შემიძლიან ღოცუა სასლში, — შენ აცთუნებ თავსა თვსსა, მეგობარო. შენ შეიძლებ ილოცო სასლში, ეს მართალია, მაგრამ ესრეთ არა, როგორც ეკლესიასა შინა, სადაც შეკრებების რაკდენიმე მამანი და

აღვლენის ღმერთისადმი ერთობით ღმერთს სამუცხს ხმას. ამისთვის არიან დადგენილნი მღვდელნი, რათამცა ღმერთის ხალხთა, რომელნიც იქმნებიან ხუცტნი, შეაკრთონ უმეტეს ძლიერთა ღმერთათათხა და აღავლინონ ზეცად. მაგრამ ზოგნი ჩუქნნი ქრისტიანენი, საუბედუროდ და შემწუსებულად წმიდის ეკლესიისა, არა ცდილობენ სიარულსად ეკლესიისა შინა მსგავსად წმიდის წინასწარმეტყულებისა და ვითისა. მრავალნი მათგანნი, იხმენენ რა ზარის ხმას მოწოდებად ეკლესიისადმი, ნაცულებად სიარულისა შევიწროვებისა ხუციითა, შესწუსებისა, როგორც იმისთვის, რომ არა ხუცთ რავდენსამე ხალხს ანუ მინუტს მოხცდნენ ამ ხოთელის სახორციელოს საქმესა და დროებითსა გამყოფილებასა, ეგრეთუწ მისთვის, რომ არა ხუცთ შეწყუბება თავისა თვისისა მოკლეს ხნის დგომითა ეკლესიისა შინა. ესრეთ ხუცნი ამ გუარის ხალხისა დაბნებულარის ეშმაკისაგან. როგორ სამწუხარო არს და ამხთანავე ღირსი სასჯელისა მათი მდგომარეობა? იგინი უკუხდებიან თვისს შემოქმედისაგან, და გზისაგან ყოვლისა კეთილისა; არა წავლენ ეკლესიისა შინა მსახურებად ღმერთისა, ხოლო ამ საქმისათვის დანიშნულს დროს განატარებენ ან მსოფლიოს საქმეში და ან უბრალოს ღამარაკში. მრავალნი მათგანნი, რომელნიც არა ხუცილით და ძვირად იხილებენ ეკლესიისა, წარმოადგენენ სიმართლისათვის თვისთა სსუა და სსუა მიზეზთა, მაგრამ იმ გუარნი მიზეზნი არიან განა შესაწყურებელნი? არა იდეს. შემოქმედმან, უფალმან და მეუფემ დროთამან მისცა მონებად კაცსა ექუსი დღე, რომელთა შინაც ჯერ არს აღსრულოს მან ყოველი მსოფლიო მეცადინეობა, ხოლო მეშვიდე დღე დასტოვა თავისათვის, ესე იგი დანიშნა სადიდებულად სახელისათვის თვისისა: „ექუს დღე იქმოდე, და ქმენ მათ შინა, ყოველივე საქმე შენი, ხოლო დღე იგი მეშვიდე არს უფლისა ღმერთისა შენისა“ — მაგრამ არა თუ მრთელს მეშვიდე დღეს, არამედ მხოლოდ ერთსა საათსაც, თითქმის სამეოფს მსახურებისათვის ღმერთისა, იგინი არა შესწირვენ უფალსა და განატარებენ ღმერთის წინააღმდეგს საქმეში. მეგორ

ზაწნო ჩემო! რას ვიქმოდით ჩუქნი იმ კაცთან, რომლისათვისცა ჩუქნი გვიჩუქებია მრავალი ქონება და მას არც სურს შემოგვიწიროს ჩუქნი ერთი ცალი ფული, რომდესაც ამას ვთხოვლობთ მისგან? მაშინ უეჭველია ყოვლის ღონისძიებით ვეცდებით დაკსაჯოთ იგი და წავართოთ თვით ნაჩუქებიცა. ესრეთ განსაჯეთ თქუქნიც. ღმერთმან შექმნა კაცი არა რაღასგან, მისცა ყოველივე ამა დროებითის ცხოვრებისა, ეს ცოცხა არის, განუწესა სასუფეველი, საუკუნო ნეტარება; ღმერთი აძლევს კაცსა ყოველს საკუთრებითს და უმაღლეს კაცობრივის საჩუქარსა კეთილსა, და ამ ღრთის მოცემულის დროსგან არა სურსთ შესწირონ მასკე ერთი საათი მანც. ახლა ღმერთი რასა იქმს? იგი თვის სიყუარულისა გამო კაცთა ნათესავისა ამ გუართაც საშიშართ დამნაშავეთ არ წარწყმედს: „არ მინდა წარწყმედა ცოდვილისა, იტყვის თვით ღმერთი, არამედ მოქცევა და ცხოვრება მისი.“ ღმერთი ელის მათს მოქცევას ჭკმარითს გზაზედ. დიდება და პატივი სულ-გრძელებსა ღრთისას! მადლობა მას, რომ არ გარდასდევინებს უმაღლეთა რისხვითა თვისითა. ახლა რათამცა ჩუქნის უმაღლრებით ერთის დღის შემატებით არა მოკავლობთ თავსა ჩუქნისა ზედა რისხუა ღრთისა, რომელსაც შეუძლიან წართმევა მუშაობის დღით შემატებულისაც და თითქმის ცხოვრებისაც, მოდი გუელს მოდგინეთ და დაუსარებლივ ვიართო ეკვლისას შინა ღრთისას და კადიდოთ შემოქმედი ჩუქნი, გამომსხნელი და მომცემელი ყოვლისა კეთილისა. ამინ.

მღ. ალექ. ზუმბულიძე.

მოკლე სიტყვა

ტფილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეთა დ-
მი (*).

საუჭაქუნო ძმანო!

ჩუწნი მამულის ისტორია გუბჩუწნებს, რომ საქართუწლო
თუხის ისტორიულის ცხოვრებიდგან წასრულის მეოვრამეტე საუკუ-
ნის გასუწლამდის ყოფილა შეიწროებული და დახაგრული გარეშე
მტერთაგან. მართალია სანდისასან თუმიცა წამოდგებოდა იგი ფეხ-
ზედ მოვარულობასა ქუწუე ზოგიერთთა გამოჩენილთა თუხთა მეფე-
თა, რომელნიც ღიწხნი აჩიან გმიწულისა სასელისა; მაგრამ რად-
განაც მას ყოველთუხს, ყოველი მსრით უყუწუბდენ მტრები მსგავ-
სად მძვინვარუთა ნადირთა, ამისთუხს ჩუწხნი წინაჰსარნი თითქმის
აწაოდეს არ დასტებებდენ დიდის ხნის მშვიდობიანობით.

ადვილი მისასდომია, ძმებო, რომ ამ გუწარი ჩუწხნი სამშობ-
ლოს მდგომარეობის დროს ვერ იქმნებოდა სრული ბედნიერი ვერც
ეკლესია და ვერც მწერლობა (ლიტერატურა). ამის ჭეშმარიტებას
ცხადად გვიმტკიცებენ ჩუწხნი ერთი მსრით ნაქტეკები მშუწნიერთა

(*) თქმულ არს თფილისის სასულიერო სემინარიის ეკლესი-
აში 1866 წ. 5 ივნისს, შემდგომად ქართულს ენაზედ აღსრულე-
ბულისა წიწვისა.

ეკლესიებთან და ციხეთან, რომელნი შეადგენდნენ ოდესმე ჩუქნი მამულის მშენებლებსა და აწ არიან შემუსვრილ ბარბაროსთა ხელთაგან; ხოლო მორჩეს მსრით — დარჩენილნი სახელები, ცეცხლის აღისაგან დანთქმულთა მშენებელთა ძველთა თხზულებათა. მაგრამ, ჩუქნიდა ბედათ და სანუგეძლოთ, მეთვრამეტე საუკუნის გათავებისათანავე გათავდნენ უბედურნი დრონი ჩუქნი მამულისა და ეკლესიასათჳს, და დაწყებისათანავე აწ მდგომისა ბედნიერისა საუკუნისა იწყო მძვდობა და ბედნიერი დრო ჩუქნითჳს.

მიზეზი ამისა იყო ის, რომ თუთ მშვიდობედნენ, ჩუქნთანა ერთმორწმუნისა სრულიად რუსეთისამან მიიღო თჳსს მოვარკვლობაში ძალადმისდილი და დაუდგრომელთა ბრძოლათაგან შეიწროებული საქართველო.

ახლა მივაქციოთ, ძმანო, ჯეროვანი ყურადღება ესრეთ განვიღიღოს ჩუქნთა წინაპართაგან ცხოვრებას და ვვითხოვო ჩუქნს თაჳს: არის რაჲმე მათს ცხოვრებაში ღირსი შენიშვნისა, ქებისა და მიბადვისა? არის და არა მტერი; მაგრამ უმეტესად ყოველთა შესანიშნავი არის დაცუა მათისა ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა და ენისა. თუმცა იგინი ხისხლისღვრით ისხნიდნენ შეუწყნარებელთა მტერთაგან, წაერთმეულს მამულს და თავისუფლებას; მაგრამ მათ, თჳსდა საქებრად, ეგოდენ დიდი სიუჭარული ქონებით თჳხის მამულისა და ეკლესიისა, რომ მტკიცედ დაუცავთ მართლმადიდებელი ქრისტიანობრივი სარწმუნოება ყოველთა წვალებათაგან და ბუნებითი თჳხი ენა, თუმცა კი მართალია არც ერთი და არც მორჩე არა ყოფილა მარადის სრულს ბრწენვალებაში მიზეზისაგანთა გაუწყვეტელთა ომთა. რაკი განისვენებდნენ მოკლეს დროს მტერთა დაცვამათა და აღსრებათაგან, ჩუქნნი წინაპარნი, განსაკუთრებით მწუშისნი ეკლესიისანი, ყოველის ღონისძიებით ცდილობდნენ მამულის და ეკლესიის აღდგინებასა და განშენებასა. მაგრამ რადგანაც იმათ კარგად იცოდნენ, რომ გონების განუნათლებელად ვერ შემატყობდნენ დიდს სარგებლობას ვერც ერთს და ვერც მორჩეს, ამისთჳს

ოგინი დაუტკეპებდნენ დროებით სამშობლოსა და მშობელთა თვხთა და მიდიოდნენ საბერძნეთის სასწავლებლებში. შემდგომ განათლების მიღებისა, ზოგნი მათგანნი, სრულებით დამტკეპებელი სოფლიურის ცხოვრებისა მივიდოდნენ მონასტრებში, იმ ნიშნით რომ უუდროებაში ქონოდეთ მომატებული დრო საეკლესიო და სსჴა და სსჴა წიგნების გადმოსაღებად და განსამრავლებლად ქართულს ენაზედ; სოფლ ზოგნი რჩებოდნენ ხალხში, სადაც ეგრეთჲს დაუცხრომელად შრომობდნენ ენის და გალობის მშკენებას და განვრცელებას. ამაში ჩჴსნ სრულებით დავრწმუნდებით უკეთუ მოვისხენებთ სასულიერო და სასოციალურ ჩჴსნი მამულის სასკოლვანთ მწერლებთა, რომლებიც სსჴა და სსჴა დროებაში ბრწყინავდნენ მსგავსად ვარსკჴლავთა ვითარცა წმიდითა ცხოვრებითა, ეგრეთჲს გონების განათლებითა. ამის ცხად მაგალითს წარმოგვიდგენს ჩჴსნ ანტონ ქათალიკოზი და მოსრული ჩჴსნამდის მისი „წყობილსიტყუაობა“ საქებლად წარჩინებულთა საქართჴსლოს მეფეთა, წმიდათა და მწერალთა. ესრეთ, უკეთუ ჩჴსნი წინაჰარნი, მცხოვრებნი წასრულთ საუკუნეთა შინა, რომელნი ძრვილ შორვენ განათლებითაც, და საზოგადო მშვიდობიანობითაც აწ მდგომს მეცხრამეტე საუკუნეს, არა ზოგვიდნენ არც ძალას და არც სიმდიდრეს ენისა და საეკლესიო კითხვა-გალობის განვრცელებისათვის; მაშ უმეტეს ჩჴსნ მცხოვრებნი ბედნიერს მეცხრამეტე საუკუნეში, რომელთაც გაბედვით შეგვიძლიან თავის ქება წინაჲე წასრულთა საუკუნებთა საზოგადო მშვიდობით და განათლებითა, მოვალენი ვართ ვისარგებლეთ დროითა და შემთხვევითა და არა ვზოგოთ თავა ჩჴსნი სწავლისა და აღდგინებისათვის დაცემულის ჩჴსნის ენისა და გალობისა. ამას მოითხოვს ჩჴსნგან სსჴათა შორის, უხილავად მოვარჴსლი ჩჴსნი მამულისა, ყოვლად-წმიდა ღჴთის-მშობელი, — ჩჴსნგან, ვითარცა შვილთაგან წილსდომილ მისდა ქჴსწყნისა. ამასჲე მოითხოვს ჩჴსნგან წმიდა მამულის სიუჴარული გინა ჰატრიოტიული გრძნობა; სოფლ უმეტეს ყოველთა საღმრთო დანიშნულე-

ბა ჩუჭნი, ვითარცა მუობადთა მწეემთა ქრისტეს სამწესობათა. წინააღმდეგს შემთხვევაში ჩუჭნი ვიქნებით ზანუხის-მგებელნი წინა-შე ზეცურისა მწეემთ-მთავრისა — უფლისა ჩუჭნისა იესო ქრისტესა და ღირსნი დაცინებისა და განკიცხვისა ყოველთა განათლებულთა სალხთაგან; უმეტეს მისთვის, რომ ჩუჭნი არ გვაქვს ამ შემთხვევაში არაავითარი განამართლებელი მიზეზი: ღუთის მადლით და უკეთილმსახურების ჩუჭნის ხელმწიფის მზრუნველობით მამული ჩუჭნი არის თავის-სუფალი ვითარცა გარქეთა, ეგრეთუწ შინაგანთა მტერებთაგან. რაღცა შეეხება მის ყურადღებას ჩუჭნიდამო, მზრუნველობა მისი არის მოფენილი არა თუ მხოლოდ ჩუჭნიზედ, არამედ ყოველთა გაგვასიის მთიულთა სალხთა ზედაცა, მუოფთა აქამოდუ სიბნელესა შინა სულისა და გონებისასა. იგი არა თუ იცავს და ეწევა დაცემულის ჩუჭნის მწერლობის აღდგინებას; არამედ უდგენს და უწესებს მწერლობას ისრეთთ სალხთაც, რომელთაც არაოდეს არ ქქონიათ იგი. მზრუნველობითა აღვილობრვისა მთავრობისათა გვაქვს ჩუჭნი ეგრეთუწ მინიჭებული, რაოდენიც შესაძლეს არს, საშუალობა ჩუჭნის ენის და განსაკუთრებით საეკლესიო კითხვა-გალობის სასწავლებლად. უკანასკნელ, ჩუჭნიდა ბედათ, ჩუჭნი არა ვართ სრულებით მოკლებულნი ეგრეთს ზიჩებს, რომლებიც, შეძლებისამებრ, ზრუნვენ დაცემულის ჩუჭნის ენის და გალობის აღდგინებასა: ჩუჭნი გამოცდილებით ვიცით, რომ ამ რჩის წლის წინათ მთელს ჩუჭნს სასწავლებელში არ იზოებოდა ეგრეთი მოხსავლე, რომელსაც შესძლებოდა წესიერად მოხმარება კითხვა-გალობით სადმერთო მოქმედებაში, რომლის მიზეზისა-გამო ყოველი მხრით ინმოდა და აქამოდუ ისმის ჩვილი და უკმაყოფილება მრევლთაგან მათის ახალგაზდა მღუდლების ქართულის ენის უცოდინარეობაზედ; ახლა კი უმეტეს ნაწილს ჩუჭნიგანს შეუძლიან ყოვლის მხრით წესიერად მოხმარება სადმერთო-მსახურების აღსრულებაში. ეს არის ცხადი ნიშანი, მაიმედებელი და წინა-მსუწებელი ჩუჭნი, რომ ჩუჭნი სამშობლო ენა შედის წარმატებაში.

წარმოიდგინეთ, ძმანო, რადენი ხანია რომ არ დაუნახავს ქართველის თვალებს და არ მოუხმენია მის ყურებს ორთა გუნდთაგან ქართული გალობა, შედგენილთა ახალ-მოწავლე ყმაწვილთაგან?! ვინ არის მიზეზი ეგრეთი ქართული გალობის განგრცველებისა, საჭიროდ არა ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რადგანაც ყველანი ცხადათ ვხედავთ ამ მიზეზს.

